კლდე

№ 27

28 ენკენისთვე 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ქოველ კვირეული საზოგადო ეკონო-

ფიური და სალიტერატურო ჟურნალი

ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია ღიაა 1 3 საათ.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

ი ე რ ი ზ ი!

ᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ: 1. მეთაური. 2. ომის გარშემო. 3. აუტილებელი ომი.—**მეომარისა.** 4. დვინის აკრძალვა და კახეთი.—**გიორგი წინამძღვარიშვილისა.** 5. სომხები თავის თავზედ. 6. დიდი უბედურობა.—X—**ისა.** 7. საათმა დაჭკრა.—**ეკალისა.** 8. ზღვისა და ხმელეთის ასული.—**ინისა.** 9. მორიგი საკითხის შესახებ.—**ასი.** 10. გამარჯვებისა და განახლების წინ.—**ს. და—ნისა.** 11. ქართულ გიმნაზიაში.—**ლივანელისა.**

თბილისი. 28 ენკენისთვე 1914 წ.

ორ თვეზედ მეტია, რაც დაიწყო საერთაშორისო ომი. ორ თვეზედ მეტია, რაც აურაცხელ ზარბაზანმა და ტყვიის მტყორცნელმა ამცნო ქვეყანას დასაწყისი იმ აუცილებელ ბრძოლისა, რომელიც დროგამოშვებით დაატყდება ხოლმე კაცობრიობას, რომ მისი ბუნება გადაახალისოს და გამოაფხიზლოს ყოველდღიურ ჭირ-ვარამში ჩაფლობისაგან. ატეხილია ისტორიისაგან ჯერ არ ცნობილი სიდიდის დევგმირული ჭიდილი, სადაც მონაწილეობას იღებენ ათასგვარი პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, რასიული და სხ. ინტერესები, რომელთაც გაჰყვეს მთელი ევროპა ორ ბანაკად: ავსტრო-გერმანია ერთის მხრით და ინგლის-საფრანგეთ-რუსეთი მეორე მხრით. ამ დიდ ვეშაპთა შეტაკებაში მეტ ნაკლებად იღებს მონაწილეობას მთელი კაცობრიობის სხვა და სხვა პოლიტიკური ორგანიზმებიც, არიან ისინი სახელმწიფონი თუ არა. ამ დიდ ბრძოლაში ათასი იდეა, აზრი, გრძნობა და ინსტინქტი მოქმედობს, როგორც ნაწილობრივი ძალა, მაგრამ წითელი ზოლივით, ყოველს მის მიმოხვრაში მკაფიოდ და გადაჭრით იჭედება და ტანს იყრის იდეა **ეროვნული**. საოცარის სისწრაფით შეჰბოჭა, შეჰკრა და ერთ ქვაბში მოხარშა ამ იდეა-გრძნობამ კაცობრიობის ყველა სხვა მამოძრავებელი ძალა, საოცარის სიძლიერით მიამკრთალა და მოსპო ეროვნულმა დიადმა აზრმა სხვა სოციალ-პოლიტიკური მსჯელობა და სულისკვეთებანი. აღარას ვიტყვით იმაზედ, რომ გერმანია ამ ომში როგორც ერთი ლითონისაგან ჩამოსხმული მებრძოლი გამოდის, შინაგან უთანხმოებათა მიუხედავად; თვით საფრანგეთში, საცა სოციალური განსხვავება-უთანხმოებანი ყოველთვის ინტენსიურ ხასიათს იღებენ — დღეს, სოციალიზმის ჟიულ გედი და კონსერვატიზმის რიბო მხარდამხარ იბრძვიან. მოისპო კლასთა, წოდებათა და სხვა განსხვავებანი ეროვნულ თავდაცვის წინაშე. ინგლისში, საცა საერთაშორისო ომის წინა წუთებში მოსალოდნელი იყო აფეთქება სამოქალაქო ომისა ჰომრულის გამო, ყველაფერი შეერთდა ერთის ლოზუნგით: ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის. ირლანდია, შოტლანდია, ინგლისი და მისი კოლონიები ერთად გამოდიან საბრძოლველად, ერთად მიაქვთ იერიში მტერზედ, რადგან სახელმწიფოს პირველმა წარმომადგენელმა საქვეყნოდ განაცხადა: „ჩვენ ვიბრძვით საერთაშორისო ხელშეკრულებათა და პატარა ერთა დასაცავად დიდ სახელმწიფოთა ძალმომრეობისაგან“. ამ ლოზუნგს ინგლისის ყველა ქვეშევრდომი აღტაცებით შეხვდა, რადგან ინგლისი ომამდისაც ემბლემა იყო ყოველ ეროვნულ თავისუფლებისა და დღეს ამ გზას ოფიციალურად, იარაღით ხელში, დაადგა. და ინგლისელმა იცის, რომ „პატარა ერთა დაცვა“ სტრატეგიული ხრიკი კი არა, შინაგანი, სახელმწიფოებრივი სიბრძნეა. საფრაგნეთ-ინგლისის კავშირში შედის დიდი რუსეთიც, რომელმაც პირველივე ნაბიჯები უმაღლეს მთავარ-სარდალის სიტყვებით: აღბეჭდა: „პოლონეთის შეერთება ენის, სარწმუნოების და თვითმართველობის პრინციპზედ“; ,,განთავისუფლება ავსტრო-უნგრეთის მოსახლე ეროვნებათა, ავსტრიის უღელისაგან.“

შეუფარდეთ ყველა ეს ზემო-მოყვანილ განცხადებას ინგლისისას, რომელთანაც ერთად იბრძვის დღეს რუსეთი და ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი აზრიც აპირობს პირიბრუნოს ეროვნებათა თანასწორობის პრინციპისაკენ. ამის ნიშვები სჩანდა იმ საგულისხმიერო სიტყვებშიაც, რომელიც წარმოსთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა მოსკოვში **ხელმწიფე იმპერატორის** მყოფობის დროს, ომის დასაწყისში: „მზადდება სახელმწიფოებრივი აქტები არა ნაკლები მნიშვნელობისა, ვიდრე 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელნიც შეეხებიან არა მარტო განსაზღვრულ ტერი-

ტორიაზედ მოსახლე ერებს, არამედ ისეთებსაც, რომელთაც ტერიტორია არა აქვთ''.

ნათქვამიდან ნათლადა სჩანს, რომ ნაციონალური საკითხი, ეროვნული აზრი და გრძნობა ერთგვარად მამოძრავებელი ძალაა, როგორც დიდ სახელმწიფოთათვის, ისე პატარა ერებისათვისაც, რომელნიც შედიან დიდ სახელმწიფოთა ფარგლებში. ამ ძალთა გამოღვიძება დღეს თამამად საუკეთესო იარაღად ითვლება. და არცა სცდებიან.

— —

საერთაშორისო ომმა განამტკიცა და გამოაბრძმედა ნაციონალური იდეა, განსაკუთრებითი სიძლიერე მისცა ეროვნულ გრძნობათ, რომელთაც დასჩრდილეს არამც თუ სხვა პოლიტიკური მოძღვრებანი, არამედ ის განუზომელი ჭირი და ზიანი, რომელიც დაატეხა თავზედ ყოველ ერს ეხლანდელმა ომმა.

ეროვნულმა შემეცნებამ, თვითშეგნებამ დღეს უფრო მძლავრად წამოყო თავი დიდსა და პატარა ერებში, იმისდა მიუხედავად, რომ უსაზღვრო ეკონომიური კრიზისი, სიკვდილის და ცეცხლის ლანდი თავს დასტრიალებთ და შიმშილის პერსპექტივები ეხატებათ თვალწინ. საერთო გასაჭირმა შეადუღა ერთა ყოველი ნაწილი და დღეს არა სჩანან სოციალისტები, პროგრესისტები, ლიბერალები, რეაქციონერ-კონსერვატორები,—დღეს ყოველი ერის შვილი მჭიდროთ არის ერთ კონად შეკრული, რადგან საერთო სამშობლოს ჭირი—ცალკე პიროვნებისაც ჭირია. პატარა საქართველოც, როგორც ყოველთვის სისხლით ნაწერ ისტორიის განმავლობაში, მონაწილეა ამ ომის სიკეთე სიავეშია: მისი შვილნი მამაცად იბრძვიან სასტიკ ბრძოლის ველებზედ, მისი შინდარჩენილნი ზიდავენ მძიმე უღელს ომის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენისას ქართველ ერში გამოიღვიძა წინაპართა მეომარმა სულმა და მასთანვე დარბაისლურმა სიმშვიდემ დიადს მომენტის წინაშე. ჩვენ თვალწინ გაიარა სიმღერით და თამაშით ათასობით ყმაწვილ-კაცობამ, თითქო ქორწილში მიედინებოდა, რაც აღნიშნული, იყო მთავრობისაგანაც; ჩვენ თვალწინ არიან დარჩენილი ასიათასნი, რომელნიც მშვიდად და წარბშეუხრელად სდგანან დიად ბრძოლის ველიდან მოსულ ამბების წინაშე. არსად არ ისმის გოდება-ჩივილი, არსად ისტერიული ტირილი ან ვიში და ვაი. ქართველობამ არც პატრიოტული ენერგიამული ასტეხა, რადგან ასეთ დიად მომენტის წინაშე როგორც მსოფლიო ომია, მყვირალა პატრიოტიზმი და ენაჭარტლობა საბუთი არ არის ერთგულებისა. ქართველობას პირი არ შეუკრავს, მაგრამ ბუნებრივად, ერთგვარის ტაქტით მიიმღეროდნენ ომისკენ კახელ-ქართლელნი, იმერლები, გურულები, მეგრელნი და სხვა ტომნი საქართველოსი, რადგან ერთგულება თვით ბუნებაა ქართველ კაცისა; მოღალატეობა მას არ ძალუძს, არა. ჩვენს საერთო სახელმწიფოს, რომელთანაც საუკუნეზედ მეტია თავისუფლად შეგვაკავშირა ისტორიამ, დღეს გასაჭირი დაადგა და ჩვენც გვმართებს „ჭირსა შიგან გამაგრება", როგორც რუსთაველმა გვიანდერძა; მაგრამ თუ გვსურს შევინახოთ ჩვენი კულტურული განძი, თუ გვინდა შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული სახე, ათასწლობით ჩამოყალიბებული იმ შემოქმედების დაუფასებელ ნაშთებში, რომელნიც გაბნეულია ჩვენს ტერიტორიასა და ერის გულში — თუ გვსურს, უნდა მოისპოს ყოველგვარი უთანხმოება წოდებათა, კლასთა, პარტიათა ᲓᲐ ჯგუფთა შორისაც, რომ გამოინაკვთოს ერის ცხოველი პირი, როგორც ერთი გარკვეული მრთელისა. იმის საუკეთესო მაგალითს გვაძლევენ დიდი და პატარა სახელმწიფოებრივი ერნი, ამას გვიმტკიცებენ არა სახელმწიფოებრივი ერთეულნი და ჩვენი მეზობლებიც კი. უნდა დავიწყებულ იქმნას ყოველგვარი უთანხმოება ერთს გაბრძოლებაში და რამდენადაც ვიცით, საერთო ნაციონალურმა მოძახილებმა, რომელნიც თოფ-ზარბაზანის ჭექა და ალში ეხვევიან — აქაც, ჩვენშიაც, მოიპოვეს ღირსეული ნიადაგი.

მართალია, ჩვენ საუბედუროდ არა გვყავს თუნდ ისეთი მოთავე, როგორც სომხების ქათალიკოსი, რომელსაც შეეძლოს მთელი ერის სახელით ლაპარაკი, მაგრამ ჩვენა გვაქვს პრესა, რომელიც ვალდებულია აღნუსხოს და გამოსახოს ის სულის კვეთება, რომელიც ასულდგმულებს დღენავდელ საქართველოს. საქართველოს სულისკვეთება კი იმაშია — შეინახოს თავისი კულტურული, ეროვნული სახე ეროვნულ ტერიტორიაზედ.

ომის გარშემო

სამთა შეთანხმება და პატარა ერები.

რომ ომმა სასურველ შედეგებს მიაღწიოსო, რომ ევროპაში ეროვნულმა პრინციპმა გაიმარჯვოს და მილიტარიზმი შესუსტდესო, გაიძახიან ერთხმად სამთა შეთანხმების მთავრობანი, უნდა მილიტარიზმის ბუდე განადგურდეს და სამთა კავშირის (რომელიც ეხლა ნამდვილად ორთა კავშირია) წაერთვას პატარა ერების დაჩაგვრის საშუალებაო. (რეჩი).

სომხები და ოსმალეთი.

სომხები, რომლებისათვისაც ოსმალეთის გამარჯვებაცა და დამარცხებაც მუდამ დიდი ჭირი იყო, მოუთმენელად ელიან, რუსეთისა და ოსმალეთის ომის დასაწყისს. დიდად დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ომი ბოლოს მოუღებს ოსმალეთის მფლობელობას სომხეთში, სადაც მილიონობით მოსახლეობს სომხობა. (რანეე უტრო)

სამი წყეული საკითხი.

მხოლოდ მაშინ შეიძლება დამყარდეს ევროპაში მტკიცედ მშვიდობიანობა, როცა სამუდამოდ ბოლო მოეღება სამ წყეულ საკითხს, - პრუსიისა, ავსტრო-უნგრეთისას და აღმოსავლეთისას. რაც უფრო მალე მოკვდება სამი ავადმყოფი ადამიანი, რომელიც ჩვენ თვალწინ იხრწნება, უფრო უკეთესი იქნება მთელი კაცობრიობისათვის. პრუსიის იუნკერი (ორის ბადალი პროვოკატორი) და ოსმალოს ყაზილბაში სწორედ რომ ერთმანეთის შესაფერისნი არიან. (რუსკ. სლოვო.)

გერმანიის ეკონომიური მომავალი.

გამბურგის საქმიანი ხალხი ადასტურებს გერმანიის გარეშე ვაჭრობის დაცემას. გაზეთი „განზა" ამტკიცებს: თუ გინდ მარტო ერთი წელიწადიც გაგრძელდეს ომი და თუ გინდ კიდეც გაიმარჯვოს გერმანიამ, მაინც ბევრი წელი დასჭირდებათ გერმანელ არმატორებს საქმის გასაუმჯობესებლად და ვერავითარიკონტრიბუცია ვერ აუნაზღაურებს იმ ზარალს, რომელსაც ომი მოუტანსო. (რეჩი).

გალიციის სოფლები და ომი

გალიციაში სამს კვირას მოუნდა სამი მილიონი ხალხი სანგრებისა და თხრილების გაკეთებას. ისე ღრმად ამოიღეს მიწა, რომ მსუქანი მიწის კელფი მთლიანად ქვეშ მოჰყვა და ზემოდ უნოყიერო მიწა მოექცა.

ვინ იცის რამდენი ათასი სული დასჭირდება ამის ხელმეორედ გამობრუნებას.

თუმცა ძნელი გამოსარკვევია, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ზარალი მილიონობით დაითვლება. (რეჩი).

სტუმრად ვილგელმთან.

ტილზიტის აღების შემდეგ (სწერს კორესპოდენტი „რეჩს") ჩვენებმა იმპერატორის ვილგელმის მამული აიღეს, ამაზე ხომა გწერდით კიდეც; ეხლა მარტო დამატებით ცნობებს გაწვდით: ცხენების საუცხოვო სამომშენებლოს გარდა, მშვენივრად მოწყობილი ფერმა და უზარმაზარი ბაღიც ნახეს მამულში. ამგვარად მოწყობილი მამული ჯერ არსად არ ენახათ ჩვენს ჯარის კაცებს. საცხოვრებელი სადგომები, სუფთად და ხალიჩებით და სარკეებით იყო მოწყობილი.

ჯარის კაცები ძალიან იყვნენ დაღალულები და ხალიჩებზე მოიკალათეს. დახოცილებსავით ეძინათ.

დილით ბევრი იცინეს.

— ხალიჩებზე... წაღებით... რუსულად...— იძახდნენ.

ან კიდევ:

— ღმერთმა უშველოს ვილგელმს,—კარგა გამოვიძინეთ, რბილად ვიწექით... მაგრამ მაინც ვიომებთ კიდევ... (რეჩი).

ორთქმავალის იერიში.

როცა პრუსიელებმა ინსტერბურგში მიმავალი რკინის გზის ლიანდაგი დაიჭირეს, ვერეშჩოლოვის სადგურზე, ჩვენმა ჯარებმა, სანამ უკან დაიხევდნენ, მატარებელი მიუშვეს გერმანელებზე უმსახურებოდ. გაქანებულმა მატარებელმა ჯერ დიდი ზარალი მიაყენა გერმანელებსა და მერე თვითონ დაიღუპა. (სტალიჩნია ვესტი).

ომის ქართველნი მსხვერპლნი

პორუჩიკი მიქელაძე
(დაჭრილია)

შტაბს-კაპიტანი ჭიჭინაძე
(მოკლულია)

პორუჩიკი ფარესაშვილი
(დაჭრილია)

კორნეტი ლ. თარხნიშვილი
(დაჭრილია)

პორუჩიკი კვინიხიძე
(დაჭრილია)

შტაბს-კაპიტანი იმნაძე
(მოკლულია)

პარუჩიკი კონ. გურგენიძე
(ორჯელ დაჭრილია)

კაპიტ. ილ. ხუციშვილი
(დაჭრილია)

აუცილებელი ომი

თუ დროებით თვალთახედვიდან გამოვსტოვებთ სამართლიანობის, მეგობრობის, მშვიდობიანობის და სხვაგვარ ჰუმანიურ ფრაზეოლოგიას, რომელსაც თავს აფარებენ მებრძოლი სახელმწიფონი; თუ დროებით ანგარიშს არ გაუწევთ ,,უფლებათა დაცვას'' ან ნეიტრალიტეტების ხელშეუხებლობის ხელშეხებას ჩვენ თვალწინ უნდა გადიშალოს ის ობიექტიური პირობანი, ის ეკონომიურ-პოლიტიკური ინტერესები, რომელთაც არამც თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი გახადეს დღევანდელი ევროპიული კატასტროფა. ეს ტიტანიური ბრძოლა მზადდებოდა სისტემატიურად; ყველა სახელმწიფოსაგან, რომელნიც წლითი წლობამდე აზვავებდნენ ასაფეთქებელ მასალას. მქუხარეთა საწყობნი ამა ქვეყნისა ყოველთვის ომის სუნს ატრიალებდნენ მთელ დედამიწის ზედა-პირზედ და თითქმის „არა-საბაბი"—გიმნაზიელ პრინციპის დამბაჩა—იყო საკმარისი, საბედისწერო ნაპერწკლად დასკემოდა მათა.

ის სიტყვიერი გამოსვლანი დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელებისა, რომელნიც თითქმის ყოველ დღე ირევიან ზარბაზნების ჭექა-ქუხილთან, ის სხვა და სხვა მოწინავე პირთა წერილები უმაღლეს საკაცობრიო იდეალების შესახებ, დღეს-დღეისობით შეიძლება შევადაროთ იმ ოქრო ვერცხლის სევადას და ჩუქურთმას, რომელიც ამშვენებს ხოლმე გულის გასაგმირ, მომაკვდინებელ იარაღსა.



ერთი ეპიზოდი ინგლისის ტყვიის მტყორცნელთა მოქმედებისა გერმანელ ცხენოსან ჯარზედ.

ფრანც-ფერდინანდის მოკვლა სარაევოში, სხვა დროს, შესაძლებელია, ადგილობრივი ხასიათის პოლიტიკურ აქტად გამხდარიყო, მაგრამ ავსტრო-უნგრეთის თავხედურმა მოთხოვნამ, რომ სერბია, დასჯილი უნდა იყოს, როგორც სახელმწიფო, ამ მკვლელობისათვის, გორგალივით გარს შემოიხვია მთელი ევროპა და აზიის ნაწილიც. ის თავბრუდამხვევი სისწრაფე, რომლითაც იშლებოდნენ ერთიმეორეზედ მნიშვნელოვანი ხასიათის ამბები—პირდაპირი მაჩვენებელია ზემო-აღნიშნული მოსაზრებისა, რომ განსაკუთრებით ობიექტიური პირობანი არიან მიზეზნი ახალ ომისა და არა ვისიმე კერძო ბოროტ-განზრახულება.

1870-იან წლებიდან დაწყებული, პოლიტიკა პრუსიისა, რომელიც სცდილობდა ფოლადის კავშირით შეეკრა მთელი გერმანია ერთ ჯავშნიან ორგანიზმად—იძულებულ ხდიდა ევროპის სხვა სახელმწიფოთაც, ისეთ ორიენტაციას დასდგომოდნენ, რომ მართლადაც გასაკვირველ მჭიდრო და მედგარი გერმანიისათვის მისი მეგობრებიანად, შეექმნათ წონასწორი ზღუდეები. გერმანიის ზრდა-განვითარება, როგორც ხმელეთის, ისე საზღვაო

ძალისა ერთგვარი საფრთხე იყო მუდამ ევროპისათვის, რადგან მისი ძალა დღითი-დღე იზრდებოდა და საყოველთაო გეგემონიას ეპოტინებოდა. კულტურულად მაღალ-განვითარებული გერმანია უდიდეს ნაწილს თავის შემოქმედებითი ენერგიისას და მატერიალური ღონისას ახმარებდა ისეთი ძალის შექმნას, რომელიც თუ თვითონ არ გასრესდა ყველა მოწინააღმდეგეს, ყოველ შემთხვევაში თავის კარმიდამოზედ ყოველი თავდასხმისაგან უზრუნველ-ყოფდა. თუ რამდენად საშიში იყო გერმანია ევროპისათვის, ან ევროპა გერმანიისათვის ეს კიდევაც სჩანს დღევანდელი მდგომარეობიდან, როდესაც ერთი მხრით გერმანია საფრანგეთის გულამდის ჩაიჭრა თითქმის, პარიზის ზღუდეებთან გამოჩნდა მისი ზარბაზნები და დღესაც, უკან დახეულს, ისეთი სასტიკი ბრძოლა აქვს ყოველმხრივ — რომ მთელი სამყარო სულგანაბული უცდის: ვინ გაიმარჯვებსო. იმას ვიღა ამბობს, რომ ფრანგებისათვის გერმანიის გულში შესასვლელად ისეთი ზღუდეებია ამართული რეინის რაიონის ციხეებისა რომ მათი გარღვევა თითქმის სასწაულად უნდა ჩაითვალოს. აღმოსავლეთზედ გერმანიას უძლიერესი თუ არა, არა ნაკლები სიმძლავრის საზღვრები აქვს იმ შემთხვევისათვის, რომ რუსეთის აურაცხელი ჯარი შინ არ შეუშვას; თუმცა იერიშების მიტანა ამ ფრონტზედ მოუცდა ავსტრიის წყალობით, რომელმაც ვერ გაუძლო რუსეთის ძლევამოსილ წინსვლას და კარპატებს შიგნით შეიზნიქა.

მეორე მხრით, თუ საფრანგეთ-რუსეთის ალიანსი იძულებულ ჰყოფდა ამ ორ სახელმწიფოს — საერთო მტერის გამოჭეჭყვას, როგორც გრდემლისა და კვერის შუა, ინგლისს შეეძლო დამოუკიდებლად მოქმედება და დასაწყისში კიდევაც განზედ იდგა თითქო, სანამ ბელგიის ნეიტრალიტ. დარღვევამ ინგლისის სახელმწიფო პირდაპირ განსაცდელის წინ არ დააყენა. ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა ორგვარად ეხებოდა ინგლლისის ინტერესებს: ჯერ ერთი დარღვევა საერთაშორისო ხელშეკრულობისა სპობდა გარანტიას სხვა ხელშეკრულობათა დაცვისას და მეორეც, ბელგის დაჭერით. გერმანიის საზღვრები და მაშასადგმე ძალთა სამოქმედო ასპარეზიც მეტად უახლოვდებოდა თვით ინგლისს. ამას თუ დაუმატებთ იმ მოსაზრებას, რომ გერმანიას შეეძლო უკიდურესობამდე ბრძოლა და ერთ-ერთი სახელმწიფოს დამარხებაც, მაგ. საფრანგეთისა, — ინგლისი პირდაპირ საფრთხეში ვარდებოდა, როგორც დიდი სახელმწიფო. უნდა ვიანგარიშოთ ისიც, რომ გერმანიის როგორც სამხედრო, ისე საგაჭრო ფლოტი ინგლისის უდიდესი კონკურენტი იყო და მის უაღრესად გაძლიერებას ვეღარაფერი ძალა გადაუდგებოდა, თუ რომ ინგლისს არ ესარგებლნა გერმანიის გაჭირვებული მდგომარეობით. საღმა პოლიტიკამ ინგლისისამ ეხლაც, როგორც ყოველთვის, მტკიცედ გაითვალისწინა ყველა გარემოება, რომ უმცირესი მსხვერპლით, უდიდესი სარგებლობა ენახა; ნახა კიდევაც და მომავალი გვიჩვენებს თუ რამდენად ხელსაყრელია ასეთი მოსწრებული პოლიტიკა.

ამ რიგად, ბრძოლაში ჩათრეული ყველა სახელმწიფო ეხლაღა ხდის აშკარად, თუ რისთვის იყო მართლაც სიჭირო და აუცილებელი ის განუსაზღვრელი შეიარაღება, რომლის წინააღმდეგ იბრძოდა კაცობრიობის პროგრესიული ნაწილი. ეს პროგრესიული ნაწილი დღეს ყველაზედ უკეთ გრძნობს შეიარაღების ძალას და ყველაზედ უკეთ იბრძვის საკუთარ ეროვნულ ჯარებთან ერთად, რაც კიდევ ზედმეტად ადასტურებს ომის გამომწვევ მიზეზთა ობიექტივობას. ეს ომი ისეთივე კუცილებელი მოვლენა არის, როგორც ქარიშხალი ან ქექაქუხილი და როგორც ქარიშხალის მძვინვარე სეტყვა და წვიმა ანგრევს მატერიალურს სიმდიდრეს და სწმენდავს ჰაერს, ისე დღევანდელი ომი გაანადგურებს ადამიანთა მატერიალურ გულტურის შეძენილს და თვით მილიონ ადამიანსაც, რომ აამაღლოს და განწმინდოს ადამიანის სული.

მეომარი.

ᲓᲦᲘᲡᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲔᲗᲘ

საშინელი იმდენად თვით ომი არ არის, რამდენადაც ომის შედეგებია. საშინელია იგი მეტადრე მეურნეობისა და მრეწველობის მომავლისათვის.

ომის გამოცხადების პირველ დღიდანვე მთელი მრეწველობა დაეცა, მუშა ხალხი მოაკლდა სოფელს, აღებ-მიცემობა და ნაწარმოების გასაღება მეტად შემცირდა. მთელი რუსეთის მეურნეობა საშინელ კრიზისს განიცდის. საზოგადოთ უმოსავლო იყო ეს წელიწადი და ზოგიერთ კუთხეებში ეხლავე ფუთი ხორბალი 1-60—1-80 კაპ. ავიდა, მაშინ

როდესაც ცენტრალურ ზოგიერთ გუბერნიებში (სადაც პური ჭარბად მოდის) ფუთი 45—60 კაპ. იყიდება. ციმბირის მერძეველთა ნაწარმოები ერბოკარაქი ფუთი 14 მანეთიდგან უცებ 5 მანეთზედ ჩამოვიდა. კახეთში მატყლი ათი მანათიდგან— ექვსი გახდა და სხვა. ამისი მიზეზი ერთის მხრით კრედიტის ძლიერი შეზღუდვაა და მეორეს მხრით გზების შეკვრა როგორც საზღვარ გარედ ისე თვით რუსეთის გუბერნიებში—რაც ხელს უშლის ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლას.

რუსეთში ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქციეს ყველა საზოგადო ორგანიზაციებმა: ეროებმა, სამეურნეო საზოგადოთებათ, კოოპერატივებმა.. სახელმწიფო ბანკიც დიდ დახმარებას უწევს რუსეთის მეურნეს, რომ გაუადვილოს კრიზისის გადატანა (განსაკუთრებით საკრედიტო კოოპერატივების საშუალებით). ამ მიზნით აძლევს განსაკუთრებულ სესხს საგირავნო ოპერაციების მოსაწყობად,—აარსებს, სადაც ხელს უწყობს მათ კავშირებას.

რუსეთის მიერ დაპყრობილ გალიციის გენერალ-გუბერნატორი გრაფი ბობრინსკი.

მაგალითად ციმბირის მერძეველთა არტელების ერთმა კავშირმა 60 ათასი მიიღო სესხად სახელმწიფო ბანკიდან და კარაქის გირაოდ მიღება დაიწყო 8—9 მანეთად (ღირებულების $^3/_4$) ნაცვლად ხუთი მანეთისა.

სამაგიროდ ჩვენი სოფლის მოუწყობლობამ ეხლა უფრო მძლავრად იჩინა თავი და ომისაგან შექმნილი კრიზისი ულმობელად დააწვა მას კისერზედ. ჩვენი სოფლის კეთილდღეობა დამყარებულია მეღვინეობაზედ - მითი უძღვება კახელი ოჯახსაც, სოფელსაც, სახელმწიფოსაც. საკუთარი ხორბალი კახეთს 4 .5 თვესაც არ ჰყოფნის და წრევანდელ უმოსავლო წელიწადს ხომ ეხლავე ვგრძნობთ პურის ნაკლულოვანებას. მუშა ხელი შემცირებულია და როცა უფრო საჭირო შეიქმნა კახეთისთვის გარეშე დახმარება, სწორედ მაშინ გამოცხადდა ღვინით და არაყით ვაჭრობის აკრძალვა და ცეცხლს ნავთი დაესხა.



ზღვაში ჩაწყობილ ნაღმების დაჭერა ტრალერების საშუალებით.

არაყის აკრძალვა დიდი ხანია საჭირო იყო, რადგან ერთის მხრით ხალხს ერთ მილიარდ მანეთს აღუპვინებდა წელიწადში, მეორეს მხრით ხორბალს აძვირებდა და ხალხის ჯანმრთელობასაც სულთამხუთავად ედგა. და თუ მთავრობამ უარი სთქვა ერთ მილიარდ მანეთის შემოსავალზედ, ეს მარტო სარგებლობას მოუტანს ხალხს და თვით მთავრობაც ამ ფულს სხვა გზით აიღებს (რასაც უკვე შეუდგა კიდეც). მაგრამ რა ქმნას 8 მილიონმა მუშა ხალხმა (ამიერ კავკასია, ბესარაბია, ყირიმი, კასპის ოლქი). რომელიც განსაკუთრებით ღვინითა სცხოვრობს?..

რა ქმნას კახეთმა, რომელსაც წელიწადში

3 – 4 მილიონამდე ვედრო ღვინო გამოჰქონდა ბაზარზედ ე. ი. 5 – 6 მილიონ მანეთს იღებდა? საიდან აინაზღაუროს ეს დანაკლისი, საიდან გაისტუმროს გაორკეცებული სახელმწიფო გარდასახადი?

ღვინის გაყიდვა მთავრობამ 18 ივლისს აკრძალა ე. ი. ჯერ მარტო შარშანდელ მოსავლის 50% ღვინო მოამწყვდია კახეთში და ქალაქის საწყობებში, რთვლამდე ათი პროცენტი ღვინისა უკვე გაყიდულ გადაცემულია ხოლმე და ამითი სულს იდგამს კახელი: ხორბალს ყიდულობს, ოჯახს აჭმევს-აცმევს, თხლე-ჭაჭიდან აღებული ფული (რაც ღვინის ღირებულების 8—10 პროცენტს უდრის) იგი ისტუმრებს სახელმწიფო გადასახადს და წვრილმალ ვალებს. ვინ არ იცის, რომ კახელი მთელი წლის განმავლობაში ნისიად ცხოვრობს, სარგებლობს კრედიტით სხვა და სხვა დაწესებულებაში (მარტო კახეთში მომქმედ საკრედიტო ამხანაგობათა ვალია სახელმწიფო ბანკისა ერთ მილიონ მანეთამდე) და უსწორდება ღვინის გაყიდვის შემდეგ—ისე რომ თითქმის სამი მეოთხედი მომავალი მოსავლისა მას უკვე დახარჯული აქვს! ამ დროს კახეთში კარგა ფული ტრიალებს ხოლმე, ეხლა კი საშინელი კრიზისია და თან ბოქაულები უკიდურეს ღონისძიებას ხმარობენ გარდასახადების ასაკრებად.

ამ გარემოებით მარტო საუფლისწულო უწყებამ ისარგებლა და იყიდა კახეთში 60 ათასი ვედრო ღვინო—ვედრო მანეთად, სარდაფში მიტანილი. მხოლოდ რა თქმა უნდა აქაც შუაკაცებმა ისარგებლეს და გაუყიდაობით შეშინებულ მწარმოებელს საპალნეში 25—30 მანეთს აძლევენ (ვედრო 52 73 კაპ.) და თვით უზიდავენ საუფლისწულო უწყებას და განა მეტი გაღვარსლა ხალხისა კიდევ შეიძლება.

მაგრამ ყველაზედ საკვირველი ის არის რომ რუსეთში არ არის აკრძალული ღვინის სარდაფებიდგან გარედ გაყიდვა და აქ კი მთავრობა საშინელ სიმკაცრეს იჩენს და ყოველ დღე სხვა და სხვა განკარგულებებით ზღუდავს ღვინის ვაჭრობას. რა არის მიზეზი? ნუ თუ ლოთობის შიში! მაშ მოვაგონებთ რომ მთელი რუსეთის მეღვინე კუთხეებს ბაზარზედ წლიურად 12 მილიონი ვედრო გამოაქვთ ე. ი. 180 მილიონი ბოთლი 165 მილიონ მცხოვრებზედ. ნუ თუ მცხოვრებზედ წელიწადში ბოთლ ნახევარ 10 გრადუსიან ყურძნის ღვინოს შეუძლია ლოთობა შექმნას. თორემ ყველამ კარგად იცის, რომ ალკოგოლს და სხვა მათრობელ საშუალებათ განსაკუთრებით იმ ქვეყნებში ხმარობენ, სადაც მეღვინეობა არ არის გავრცელებული. ყველაზედ ცხად მაგალითს თვითონ რუსეთი გვაძლევს—სად უფრო მეტი ისმება არაყი, ბესარაბიაში და ყირიმში თუ სამარის ან მოსკოვის გუბერნიებში!

აქამდინ არაყი ღუპავდა ხალხის 991 მილიონ მანეთს და 12 მილიონი ვედრო ყურძნის ღვინო კი მარტო 25—30 მილიონი მანათი ღირს.

ყირიმის მევენახეობის კომიტეტმა და მეღვინეთა საზოგადოებამ უკვე აღძრეს ამ საკითხის გარშემო შეკითხვა სამინისტროში და აკი რუსეთის ქალაქებში არც არის აკრძალული ვაჭრობა.

საჭიროა რომ ჩვენმა ეკონომიურმა ორგანიზაციებმაც ამოიღონ ხმა და მიეშველონ საქართველოს მეღვინეობას. ეს პირდაპირი მოვალეობაა ქართულ სამეურნეო საზოგადოების, თავად-აზნაურობის და საადგილ-მამულო კომისიისა. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ კახეთში არსებულ საკრედიტო ამხანაგობებთან ერთად მოაწყონ რაიმე საშუალება აუცილებელი დაღუპვის თავიდან ასაცილებლად.

არყის აკრძალვით კახურ ღვინოს დიდი ბაზარი მოელის რუსეთში, მხოლოდ საჭიროა შეკავშირება და მოქმედება. ღვინის გასაღებაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენთვის მაგალითად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირს (სადაც 1300 საზოგადოება შედის) და სხვა კოოპერატივებს, ადგილობრივ კი საადგილ-მამულო კომისიამ უნდა ითავოს წვრილი სესხის ამხანაგობათა შეკავშირება რუსეთის ბაზართან საშუამავლოდ.

მით უმეტეს საჭიროა ხმის ამოღება რომ სრულიად უსაფუძვლოდ მოაქციეს ყურძნის ღვინო აკრძალულ მაგარ სასმელების სიაში ჩვენი ღვინო პურიდგან ხელოვნურად გამოხდილი 40%-იანი „столовое вино“ კი არ არის, არამედ იგი სამეურნეო ნაწარმოებია, რომელიც მეტად მცირე პროცენტს შეიცავს სპირტს და იხმარება როგორც სამკურნალო საშუალებაც კი.

ყოველ შემთხვევაში, ერთბაშად მეურნეობის მთელი დარგის ერთი ხელის მოქნევით მოსპობა შეუძლებელია და გამოიწვევს დიდ უბედურებას.

საფრანგეთის მოკლე ხნის მაგალითები არ უნდა გვავიწყდებოდეს.

გიორგი წინამძღვრიშვილი.

სომხები თაკის თავზედ

ამ სათაურით გაღმობეჭდილია „ზაკ. რეჩ“-ში (№ 219) წერილი მწერალ შირვანზადესი გაზ. „მშაკიდან“ (№ 209), საცა ავტორი გაუტაცნია ოცნებას(?). რაკი მისი აზრით, ეხლანდელი ბრძოლა ბრძოლაა სიმართლის და ცივილიზაციისა შეგიწროვებულ და დაჩაგრულ ერთათვის, ყოველი დაჩაგრული ერი უნდა გამოვიდეს ასპარეზზე და უჩვენოს თავისი ჭრილობანი განმათავისუფლებელთ:

„ოქვენ იბრძვით ტანჯულთათვის? მაშ აი შემომხედეთ მეც ვიტანჯები, მეც ღირსი ვარ ოქვენი ყურადღებისა...

„და განა არის სხვა ერი,—ამბობს შირვანზადე, – რომელსაც კაცუტანოს იმდენი წვალება, რომელთა უფლებაც ისე იყოს გათელილი, რომელთა ქალებიც იმდენჯერ გაუუპატიურებიანთ, ბავშვები გაეხრწნათ, რომლის ისტორიაც შეიცავს მრავალ სისხლის ფურცელს და რომელიც თავისი მცირე ძალღონით იმკენს იბრძოდა ქრისტიანობის, სიმართლის და ცივილიზაციის დასამყარებლად– რაგორიც არის სომხის ერი?..

„დიახ, არ არის სომხის ერის მსგავსი სხვა ერი“.

„ჩვენ უნდა ვუჩვენოთ განმათავისუფლებელთ ჩვენი ჭრილობანი და მოვთხოვოთ ჯილდო, რომელიც დავიმსახურეთ არა მარტო სისხლით, არამედ ჩვენი შრომით ქრისტიანობის და თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე. განა ჩვენ მოწყალებასა ვთხოულობთ? არა! ჩვენ არა გვსურს მათხოვრობა, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ სამართლიანი შეფასება და ჯილდო ჩვენი მწარე შრომისა. ჩვენ უნდა განვაცხადოთ რომ ქვეყანაზედ ერი რომელსაც შეუძლია ევროპიული ცივილიზაციის შეტანა აზიის შავ ჯურღმულში—ეს არის სომხის ერი.

„ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ, რომ თუ აზიის ბატარა ერებში არის უფრო შრომის მოყვარე, უფრო ზნეობრივი, უფრო ამტანი, უფრო ძლიერი და განათლებული ერი ეს არის—სომხის ერი. ამის დამტკიცება ჩვენ შეგვიძლია არა მარტო სიტყვებით და კვეხნით, არამედ ცოცხალი ფაქტებით, ჩვენი შემოქმედი ნიჭით, განათლების განუზომელი სიყვარულით, ჩვენი ვაჭრული და მრეწველობითი თვისებებით და ბოლოს ჩვენი სულიერი და ფიზიკური ენერგიით“:

სომხების ამ თვისებებზედ მყარდება ბ-ნი შირვანზადე და განაგრძობს: „ფარისევლური თავმდაბლობა ისევე სარახისია, როგორც გაზვიადებული სითამამე. ჩვენის მხრით კი სითამამე არ იქნება რომ მოვითხოვოთ რის უფლებაც გვაქვს— სრული ავტონომია ოსმალეთის სომხეთისათვის!“

„დიახ სრული ავტონომია, რადგან ფაქტები ათასობით მოწმობს რომ ჩვენი ბედ-იღბალი ვერას დროს ვერ შეეთანხმება ოსმალეთისას,—რომ ჩვენ და ოსმალები სრულიად დიამეტრალურად წინააღმდეგნი ყართ, რომ ოსმალებს სრულიად არ შეუძლიათ თანამედროვე ცივილიზაციის შეთვისება და ჩვენი ერთად-ერთი მისწრაფება კი ცივილიზაცია, რომლისთვისაც ჩვენ ვცოცხლობთ და რომლისთვისაც უნდა დავიხოცნეთ“.

ჩვენ თანაგრძნობის და მოწონების მეტი არა გვეთქმის რა ოსმალეთში ავტონომიის თამამად და სამართლიანად მოთხოვნისათვის, მაგრამ აზიაში ცივილიზატორული როლის თამაში სომხის ერისაგან, და ისიც დაჩემება ამ როლისა მარტოდ-მარტო სომხის ერისათვის უნიადაგო თავმოყვარეობის კვეხნად მიგვაჩნია.

დიდი უბედურება

ხუთშაბათს საღამოს 4 საათზედ სათავად-აზნაურო ქარვასლაში მარცხენა დახურულ გასავალში ცეცხლი გაჩნდა. თავის დროზედ საჭირო ზომები არ იყო მიღებული და საათ ნახევრის შემდეგ ცეცხლი ქართულ თეატრის სახურავს ეცა. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ყურადღება მიაქცია მეზობელ სამხედრო შტაბის შენობას და მთელი წყალი და ენერგია მ-ს დაცვას მოახმარა. თეატრის შენობა კი მიტოვებული იყო და მის გარშემო სამიოდე მოხალისე ცეცხლის მქრობელი უწყლოდ და ამიტომ უმოქმედოთ დახეტიალებდა. თუმცა დიდძალმა ჯარმა გარშემო ქუჩები შეჰკრა და არავის არ უშვებდა, მაინც ‘ბიგნით ბევრი ქართველობა მოხვდა და საუცხოვო სიმხნით და თავგანწირვით ეშველებოდა და ეზიდებოდა თეატრის და წ.-კ. ს. ქონებას, ძვირფას ავეჯეულობას და სხვა. განსაკუთრებით საუცხოოდ პატარა ქართველი გიმნაზიელები მოქმედობდნენ. ხანში შესული მოღვაწენი ზურგით ეზიდებოდნენ სხვა და სხვა ბარგს. დიდი და პატარა ქართველი თავგანწირულად სცდილობდა რამე გამოეგ-

ლიჯა საშინელ ცეცხლის ნიაღვარიდან, მაგრამ სტიქია არა სცხრებოდა, რადგანაც მისი ჩამქრობი არსადა სჩანდა. ჯერ თეატრის სახურავმა იგრიალა საშინლად და ძირს დაეცა. შემდეგ თეატრის შიგნიდან იფეთქა საშინელმა ალმა და მოედო მთელ შენობას. საზაფხულო თეატრი ბურბუშელასავით აპრიალდა და რამდენიმე წუთში დაიწვა. საშინელმა ცეცხლმა გაახმო კლუბის ხეები და შენობისაკენ გაიწია. ქართველობა მაშინვე ეცა ბანკს და მის დირექტორის დ. ფავლენიშვილის მეთაურობით სწრაფად გადაზიდა ბანკის საქმეები მეზობელ შენობაში. კლუბის შენობებიც დაზარალდა: სასადილო დარბაზს შიგნით ყველაფერი მიმტვრეულ-მომტვრეულია. ვიღაც ხულიგანებს გაუქურდნიათ ბუფეტი, დაუცლიათ შამპანიური, კონიაკი და სხვა ძვირფასი სასმელები და გარშემო ყველაფერი მიუჩეხნიათ. ერთს ბოთლი უსროლია და 800 მანეთიანი სარკე გაუჩეხია. კლუბის მოწყობილობის ნაწილი დაიკარგა. ერთი სიტყვით, დიდი და აუწერელი ცეცხლი, რბევა და ნგრევა ეწვია ჩვენ ერთად ერთ კულტურულ ბუდეს. საერთო ზარალი ნიხევარ მილიონს უდრის წ.-კ. გ. საზოგადოებას წიგნის საწყობები სრულიად გადაეწვა—მთელი ჩვენი მწერლების გამოცემანი ფერფლად იქცა. ზარალი არა ნაკლებ 40 ათასი მან. პარასკევს დილით საზარელ სურათს ნახავდით იმ ადგილს, სადაც გუშინ ლამაზად და ამაყად გამოიყურებოდა ჩვენი ეროვნული განძი ქართული თეატრი—ცარიელა, გაშავებულ ნახევრად დანგრეული კედლები და მის გარშემო წარბშეკრულ, ცრემლიანი თვალებით ქართველობა, რომელნიც აჩრდილებისავით უსიტყვოდ თავს ადგნენ ქართული ტაძრის საფლავს,

X

საათმა დაჰკრა...

ისტორიის საათმა დაჰკრა...

და დაიწყო დიადი და უსაშინელესი სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომლის მსგავსი მსოფლიო ისტორიაში არ მოიპოვება.

ამ მრავალ ერთა შორის ბრძოლაში ჩვენ თვალწინ ნათლად ისახება ორი ტიტანიური მებრძოლი: პანგერმანიზმი და პანსლავიზმი,

ორი ისტორიული და სტიქიური მოძღვრებანი.

ორივენი მე-XIX საუკუნის დასაწყისში დაიბადნენ.

დაბადებიდანვე ძლიერნი და მტერნი.

ორივე მიისწრაფვოდა ბალკანეთისაკენ.

პარველისთვის ეს იყო გზა ეკონომიურ აუცილებლობისა.

მეორესათვის – გზა პოლიტიკური: აღდგენა-გაძლიერება ბალკანეთის სლავიანთა ერებისა და მათი საშუალებით პანგერმანიზმის წინსვლის შეკავებისა.

პირველი აუცილებლად ბალკანეთის ერების გვამებზედ უნდა გადასულიყო.

მეორე—გერმანიის სახელმწიფოს ნანგრევებზედ.

ამ ბრძოლის პირველი აქტი ბერლინის ტრაქტატით დამთავრდა.

გაიმარჯვა პანგერმანიზმმა.

მეორე აქტი ბალკანეთის ომის შედეგით დასრულდა,

გაიმარჯვა პანსლავიზმმა.

ისტორიის საათმა დაჰკრა და დადგა მესამე ყველაზე საშინელი, ყველაზე დრამატიული აქტი, სადაც საომარ ასპარეზზედ თვით მთავარი მომქმედნი 3 რნი გამოვიდნენ:

ვეებერთელა რუსეთი და ფოლადში შეჭედილი გერმანია.

ამ ძველ კამათის ორ გოლიათთა შორის ეს უკანასკნელი აქტია.

უშველებელი სვეტები ცეცხლისა და წარმოუდგენელი ნიაღვარი ხალხის სისხლისა!

უკანასკნელმა საათმა დაჰკრა და ამ საშინელ „კამათს“ ბოლოც დაუდგა, ბოლო, რომლის სიღრმეში თავისუფალი და მშვიდი ახალი კულტურულ-ეროვნული ცხოვრების ფორმები ისახება.

ეკალი.

ზღვისა და სმელეთის ასული

(ლეგენდა)

დადონებული ასული ზღვის კიდეს მისჩერებოდა. ტალღა ნაავი გიშრის თმებს უთამაშებდა და გულში ეკონებოდა. ბუნება მხიარულობდა: ყველგან ყრიამული, ყვავილ-ხივილი ისმოდა, ასული კი ვერაფერს ამჩნევდა. შავი თვალები ზღვისათვის მიეპყრო და მოუთმენლად რაღაცას ელოდა. დარდისა და ვარამისაგან სახე დაჭმარიდა.

ზღვა წყნარად იყო. მხოლოდ ხანკამოშვებით სახეს იშმუშვნიდა. მზე ზღვის სარკეში თავს იგეკლუტებდა, თავის სილამაზით იხიბლებოდა და იღიმებოდა.

უცბად ასულის პირდაპირ წყალი შეინძრა და კარს ტალღათა წრეები მიმოაბნია — ზღვის უფსკრულიდან უცხო ქმნილებამ ამოიყურყუმელავა. ოქროსფერი თმები მზის სხივებივით შუმჰფენოდა მხრებზე; სახე თეთრად უკამკამებდა.

ასული კაოცებით უცქეროდა.

— ვინა ხარ? — შეეკითხა ახლად მოვლენილს.

— ზღვის ასული. — კაისმა პასუხად ნაზი, მომხიბლავი ხმა.

ზღვის ასულს დიდრონი ლურჯი თვალები ბოროტად ელიმოდა.

— შენა, მშვენიერო?.. ხმელეთის ასული?.. ვის ან რას ელი?

— მხსნელსა და ხსნასა. ჩემი არსება ავმა სენმა შეიპყრო; სულს მიხუთავს, მადნობს, სიცოცხლეს მისწრაფებს. — სთქვა ნაღვლიანად ხმელეთის ასულმა. — მითხარეს ზღვის ძირში უებარი წამალი ინახებაო და...

— მაშ, შენ გამოგზავნე თმა-ხუჭუჭა რაინდი? — გაწყვეტინა ზღვის ასულმა სიტყვა და გადიკასკასა.

კასკასი ზღვას მოეღვა, ზღვა ამიბინდა, მზის სახე დაქუტმატა და შეთამაშა.

ხმელეთის ასულს გულმა კვნესა დაუწყო.

ზღვის ასულის თვალები მღელვარე ზღვად იქცნენ და ბოროტების წინწკლები გადმოაბნიეს.

— ის ეხლა ჩემია. შენ ადარ დაგიბრუნდება. — სთქვა მკაცრად ზღვის ასულმა და ზღვის უფსკრულში მიიმალა.

ბუნება მხიარულობდა, ხმელეთის ასულს კი თავი ჩაედუნა და უხმოდ და უტრემლოდ სტიროდა. პატარა ზვირთები ფეხთ ეგდებოდნენ, ტალღი ნიავი ლოყებს უკოცნიდა და ეურში ტკბილს იმედებს ჩასჩურჩულებდა, მაგრამ ბედკრული თავს მაღლა არ იღებდა.

ინი.

მორიგი საკითხის შესახებ

დიდმა საერთაშორისო ომმა, რომელშიაც ჩარეულია ამ ჟამად საქართველო, როგორც ნაწილი რუსეთის იმპერიისა, მისმა მნიშვნელოვანმა ამბებმა, დიდი იმედების მოლოდინმა სრულიალ დაჩრდილა შინაური საქმეები, რომელთაც ოდესმე არც ისე პატარა მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი ცხოვრებისთვის. ზარბაზნების ქუქა-ქუხილის გამო უყურადღებოდ ჩაიარა სათავად-აზნაურო სკოლაში მომხდარ ამბებმა და, როგორც ეტყობა, ისევე ყრუდ და უყურადღებოდ ჩაივლის წლიური კრება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა. ნამდვილად კი, მნიშვნელობა იმ საკითხებისა, რომელიც გადაწყდება ამ კრებაზედ არა ნაკლებ დიდია, ეხლა, ომის დროს, ვიდრე ომის წინა ხანებში. ამიტომ მკითხველს უდროოდ ნუ მოეჩვენება, თუ ჩვენ ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდებით. თუ ეს კრება შესდგა, უეჭველია იქ ისევ ის საკითხი წამოჭყოფს თავს, რომელსაც ვერც ერთ წარსულ კრებაზედ ჯეროვანი გადაწყვეტა ვერ ეღირსა. ეს გახლავთ საკითხი ,,საზოგადოების'' გადემოკრატებისა არა მარტო მიზნების მხრივ, არამედ შემადგენელობითაც. ,,საზოგადოების'' მიზანი, რამდენადაც იგი სწავლა-განათლების საკითხს შეეხება — დემოკრატიულია — საჭიროა მხოლოდ მისი გადემოკრატება გაბალხოსნურება ორგანიზაციისა და შემადგენელობის მხრივ. ეს საკითხი კი მუდამ გაუგებარ წინააღმდეგობას იწვევდა ზოგიერთა წრეებში.

ვერავინ ვერ უარჰყოფს იმას, რომ ხალხის მონაწილობას, ხალხის და არა ცალ-ცალკე წრეებისას, კულტურულ დაწესებულებებში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას გრძნობს ყოველი ჩვენგანი, ვგრძნობთ იმასაც, რომ გვაკლდა ყოველთვის, და გვაკლია ეხლაც სწორედ ეს კავშირი ხალხსა და ჩვენ დაწესებულებათა შორის და მიუხედავად იმისა, რომ საშუალება ჩვენ ხელთ არის, ჩვენ მაინც გაუგებარ სიზარმაცეს, გაუგებარ კონსერვატიზმს ვიჩენთ, ვიხმაროთ ეს ახალი საშუალება ამ კავშირის შესაქმნელად. ჩვენ სრულ იმედებს ვამყარებთ, რომ ამ გაუგებრობას მომავალ კრებაზედ ადგილი აღარ ექმნება. ჩვენ ვიმედობთ, რომ ,,საზოგადოების'' წევრები სრულის შეგნებით და ობიექტივობით განიხილავენ ამ საკითხს და საჭირო რეზოლიუციას გამოიტანენ. ეს რეზოლიუცია უმთავრესად საწევრო გადასახადის შემცირებას უნდა შეეხოს. ამ რეზოლიუციამ უნდა სთქვას, რომ საწევრო გადასახადის სიდიდე არის სწორედ ის უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც ,,საზოგადოებას'' ხალხზედ შორს სტოვებს და მის ნამდვილ დანიშნულებას უკარგავს.

ა.



ინგლისის ინდოელი მაშველი ჯარი აქლემებზედ, გადმოსხმული საფრანგეთში.

გამარჯვებისა და განახლების წინ

დაჰკრა თუ არა მთელი რუსეთისათვის დიადმა ჟამმა და ძლიერი მტერი სახელმწიფოს საზღვრებს მოადგა, მთელი რუსეთი, ვით ერთი ოჯახი, ეროვნულ სხვა და სხვაობის განურჩევლად ფეხზე დადგა და უყოყმანოდ, მტკიცედ გასწია ბრძოლის ველისაკენ გამარჯვების მოსაპოებლად. ერთბაშად მივიწყებულ იქნა „შინაური“ კინკლაობა ერთი ოჯახის შვილთა და რუსეთის ერი ამოუდგა მხარში მთავრობას. ასეთი ენტუზიაზმი, ერთი იდეით ასეთი აღფრთოვანება იმათაც კი გადაედო, რომელთათვისაც იდეა სლავიანთა ერთობისა სრულიად უცხოა, მათ სულსა და გულს არაფერს ეუბნება. უსიტყვოდ, მოულაპარაკებლად განმტკიცდა ყველა ერთა შორის კავშირი და ჩამოვარდა ზავი. არა თუ მილიუკოვმა პურიშკევიჩს ხელი მისცა, ეს უკანასკნელი თორასაც კი ემთხვია და მიაფურთხა თავის გუშინდელს სიტყვებს და გუშინდელს დღესა; უფრო მეტი, რუსეთის ნაციონალისტთა კრებებზე და რუსეთის პრესაში განაცხადეს: დღეიდან რუსეთში სხვა და სხვა ერნი კი არ არიან, არიან თანასწორნი შვიდნი დიდი რუსეთისაო.

თუ გუშინ მთავრობა უნდობლად უცქეროდა პოლონეთს, უკრაინას, კავკასიას, ლატიშებს და სხ. დღეს იგი საქვეყნოდ აღიარებს პოლონეთის თავისუფლებას, ჰპირდება პოლონეთს დიდი ხნის ოცნების ასრულებას, განხორციელებას. ამნაირად, გასაოცარის სისწრაფით მოხდა „დიადი მომენტის“ ზეგავლენით ფსიხიკის გადაქმნა. პოლონეთისადმი მიმართულმა მანიფესტმა ბევრს მოჰგვარა იმედი: რუსეთი, რომელიც თავის საზღვრებ გადაღმაც კი „სამართლიანობის აღმდგენელად“ და „პატარა ერთა დამცველად“ გამოდის, თავის შინაც ხომ მით უმეტეს დაამყარებს სამართლიანობასაო და ასეთი მსჯელობა ლოღიკურიც არის, მაგრამ რუსეთის ზოგიერთი საზოგადოებრივი მიმდინარეობა, „ლიბელარული პარტიაც“ კი ჯერ კიდევ ურევს ძველს ჰანგებს.

„ნოვოე ვრემიას“ ცნობილი პუბლიცისტი მენშიკოვი გაკვრით ეხება რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა სულიერ განწყობილებას და ასე ახასიათებს მათ წარსულს და აწმყო მოქმედებას: თუ რუსეთში მცხოვრები პატარ-პატარა ერები ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ ეს იმიტომაო, სწერს იგი, რომ რუსეთს დიდი ხანია არ გაუმარჯვნია ბრძოლის ველზე, მისი პრესტიჟი დაეცა პატარა ერების თვალში, იგი მათ სუსტი ეგონათ, მაგრამ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ და ისინი მაშინ ისევ დაებლაუჭებიან ძლიერს რუსეთს კალთაზეო.

ფრიად სათაკილო ახსნაა რუსეთის ერთა გულწრფელობისა და თავგამოდებული ერთგულობის მიზეზთა, მაგრამ დღეს ეს არავის არცა სწყინს და არც უკვირს, რადგანაც გუშინ მენშიკოვი და „ნოვოე ვრემია“ უფრო მეტ შხამს ანთხევდა მარჯვნივ და მარცხნივ; ერთობ დიდხანს ვარჯიშობდნენ ისინი სხვა ერთა თავმოყვარეობისა და ინტერესების გათელვაში, რომ მართლადაც ეს საუკუნოებით შემუშავებული სულიერი განწყობილება ასე ადვილად ჟამთა ვითარებას შეუგუონ. მენშიკოვს არა ჰქონდა, რასაკვირველია, საბუთი რუსეთის ერთა (რომელნიც ათასობით და ასი ათასობით სასიკვდილოდ გზავნიან თავის საუკეთესო შვილთ და რომელთა სისხლით შეღებილია რუსეთის საზ-

ღვრები) გულწრფელ ერთგულებაში ეჰვი შეეტანა და ,,პრესტიჟიან და უპრესტიჟო'' რუსეთის შიშით აეხსნა მათი თავგანწირვა, მაგრამ მისი რწმენა ერთობ გაკაჟებულია ერთი იდეის გარშემო და ეს იდეა არის: ,,რუსეთი რუსებისათვის''. აქ კი უნდა აღვიაროთ, მენშიკოვის საქებრად, რომ იგი ნიღაბაუფარებლივ, გამოცხადებით და უკომპრომისოდ ემსახურებოდა ამ ყოველ რუსისათვის, ნებით თუ უნებლიეთ, სასურველს შესაძლებლობას; იგი არასოდეს არ ამოფარებია რაიმე ,,ლიბერალურ'' პროგრამას და ვარდის კონა არავისკენ გადაუსროლია.

მაგრამ სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით „კადეტების'' შესახებ. იმ თავითვე ორპოფული, ბუნდოვანი და სათვალთმაქცო პროგრამა და ორპირი ფსიხიკა (თუკი ასე ითქმის) კადეტიზმისა ვერც ამ ,,დიადმა მომენტმა'' განწმინდა და ამ უკანასკნელ დროს ხომ მოულოდნელობის საზღვრებს მიაღწია. გაზეთი ,,რეჩი'' ოც მარიამობისთვის ნომრის სარედაქციო წერილში ეხება ოსმალეთთან შესაძლებელს ომს და გაკვრით ეხება კავკასიის ერთა საკითხს.

კადეტთა პარტიის პროგრამაში ერთობ გამოურკვეველია სხვა და სხვა ერთა უფლების აღიარება ისინი პოლონეთისათვის თუ სცნობენ საჭიროდ ეროვნულ თვითმართველობას, თორემ სხვა ერთა ეროვნულ-ტერიტორიალური მისწრაფებანი სახიფათოდ მიაჩნიათ. რუსის ნაციონალისტები „რეჩს" „ჟიდების გაზეთს" უწოდებდნენ, რადგანაც ებრაელთა მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღებით ეკეკოდნენ, მაგრამ ნამდვილად კ. თვით კადეტთა პარტია ებრაელთა და საერთოდ უტერიტორიო ერთა უფლებას უფრო სათვალთმაქცოდ უწევდნენ მფარველობას, თითქო ისინი მათ იმდენად აინტერესებდეთ, რამდენადაც მათი ინტერესები უფრო დახლართავდნენ და გაართულებდნენ ტერიტორიალისტთა მოთხოვნათ და მათ განხორციელებას ხელს შეუშლიდნენ.

ვინც ძალით არ დაიბრმავებს თვალებს კადეტების ლიბერალობით და ლმობიერებით, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს იმ შესანიშნავ წერილის შემდეგ, რომ ეროვნული საკითხი კადეტებისათვის არსებობს არა როგორც სამართლიანობის საკითხი და ეროვნებათა თავისუფლება კადეტების ხელში რომ იყოს, ისინი მას მხოლოდ მაშინ გაიმეტებენ, როდესაც ეგ სასარგებლო იქნება თვით მათთვის და ამ მხრით უსამართლოდ ეკამათებიან მათ ნაციონალისტები, რადგანაც ამ ხაზზე კადეტები ნაციონალისტებს არფრით არ ჩამოუვარდებიან გარდა იმისა, რომ კადეტები „ლიბერალურ მანტიაში" ეხვევიან.

„რეჩს" სათაკილოდ არ მიაჩნია „ამ დიად მომენტში მიუბრუნდეს კავკასიის ერთ ერთს ერს, მაგალითად ქართველებს, და უთხრას: გარემოებათა წყალობით თქვენ წინა რიგში მობრძანდით და თქვენ კი სომხებო, თუ ერთგულობაში შეჯიბრება გნებავთ, აი ბრძოლის ველი და იქ გამოიჩინეთ თავიო; ან და სომხებს უთხრას: რადგანაც თქვენ ოსმალეთს „მამა-პაპურად" მედგრად დაუხვდებით, აი ჯილდოთ ესა და ეს სიკეთე მიიღე და თქვენ კი ქართველებო, აგა ბრძოლის ველზე დაამტკიცეთ იმ სიტყვების გულწრფელობა, რომელიც თქვენმა წარმომადგენელმა სხვებსავით სათათბიროში წარმოსთქვაო. ასე იქცევა მილიუკოვისა და ჰესსენის გაზეთი, მაგრამ ეს ხომ მეწვრიმალური ვაჭრობაა და ულირსი ჩარჩობა?

ასეთ ვაჭრობას საოცარი დისონანსი შეაქვს იმ ხმაშეწყობილ გუგუნში, რომელიც გაისმა რუსეთში უმაღლესი მთავარსარდლის მანიფესტის საპასუხოდ: თვით „რეჩიც" კი აღტაცებული იყო ამ მანიფესტით, რომელიც ანიჭებს პოლონელებს „ენის, სარწმუნოების და თვითმართველობის თავისუფლებას" და რომელიც იმის მომასწავებელია, რომ რუსეთი გამოდის სამართლიანობის გუშაგადო. ასეთ იმედებს იძლევა მთავრობა, რომელსაც სწამს, რომ სახელმწიფოებრივი ხომალდი გამარჯვებისაკენ მიჰყავს და „ლიბერალური პარტია კი" პატარა ერებს ეკეკრება: თუ შენ ამას და ამას ჩაიდენ ჩემთვის, მეც ამასა და ამას გიწყალობებო. საოცარი მიმდინარეობაა ამ ჟამად რუს-საზოგადოებაში: მაშინ როდესაც მთავრობა თანდათან ლიბერალდება და უახლოვდება მთელს ერს, დემოკრატიას,—პარტია, რომელიც თავის თავი მიაჩნია ქვეყნის მარილად, უკან იხევს, თავის პოლიტიკურ ტაქტს პოლიტიკურს გრდემლზე კი არა სჭედავს, სავაჭრო დახლიდამ იძლევა.

როგორ ან რა სასწორზე ასწონა „კადეტების პარტიამ'' ამა თუ იმ ერის აქტიობა და მეორესი პასიობა! რომელმა ერმა დაიხია უკან, ან რომელმა იყოყმანა და პირველ ძახილისთანავე არ გაგზავნა ათიათასობით და ასიათასობით თავისი შვილები ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ?! ვინ დაუწყო ვაჭრობა მთავრობას? მაგალითად ქართველმა ერმა ორასათასამდე თავისი საუკეთესო შვილნი იმიტომ გაგზავნა უყოყმანოდ სხვებთან ერთად სასიკვდილოდ, რომ ეს ესაჭიროებოდა მათ საერთო სამ-

შობლოს. ამას მოითხოვდა იმ სახელმწიფოს ინტერესები, რომელსაც ამ ასი წლის წინიდ ქართველმა ერმა თავისი ბედი შეუკავშირა. მთელი საუკუნოს განმავლობაში ქართველი ერი თავისი სისხლით უმტკიცებდა რუსეთს ერთგულებას და ნუ თუ დღესაც ,,კადეტებისათვის'' საჭირო გარდა „მათი ომის ველზე გაწვევა?! ქართველი ინტელიგენცია და ქართველი ერი მიეჩვია რუსეთის მოწინავე საზოგადოებასთან გრძნობას და აზროვნებას, იგი მუდამ სასოებით შეჰხვაროდა რუსეთის ,,ჰუმანურს'' ინტელიგენციას, რომლისაგან ამგვარს ვაჭრობას არ მოელოდა.

გამარჯვებული რუსეთის სამოქმედო პროგრამა დაახლოვებით კიდეც შეუმუშავებია მენშიკოვს: პირველი მიზანი ავსტრიის უღლიდან რუსეთის ერის განთავისუფლებაო, სწერს იგი, მეორე სერბიის დაცვა, მესამე—რუსეთის კვერთხის ქვეშ პოლონეთის აღდგენა, მეოთხე—სლავიანთა ავსტრიის ძალადობისაგან დახსნა და მეხუთე—შუა ევროპაში წესიერების დამყარებაო და კადეტთა პარტიის პროგრამაც ხომ არ არის ამაზე ვრცელი! მაშ რას უნდა მოელოდეს ვინმე ამ პარტიისაგან, რომელიც თავის თავს რუსეთის ,,სინიდისის გამომხატველად სთვლის''?!

ვთქვათ, ის „მეომარი" ნაციონალისტები, რომელთაც გუშინ კადეტები სასაცილოდ იგდებდნენ, დღეს მხოლოდ და მხოლოდ ,,პანსლავიზმის იდეით'' არიან გატაცებულნი; ვსთქვათ, მათ დღეს გარეშე საგარეო პოლიტიკისა და მთავრობის ამ მხრივ მოქმედებისა არაფერი ახსოვთ, მაგრამ ,,კადეტები'' რომ ,,მაშინდელი პარტიაა'', იგი ხომ უაღრესად რუსსეთის შინაგან სიძლიერის და სასურველ წესწყობილების მოტრფიალენი არიან და როგორ დაივიწყეს ეს შინაგანი საჭიროებანი, შინაური წესწყობილება!

ჩვენა გვგონია, რომ ,,კადეტები'' ამ მხრივ ჯეროვან სამსახურს ვერ უწევენ უმაღლეს მთავრობას, რომლის სახელმწიფოებრივი აზრი რუსეთის მოსახლე ერთა თანასწორობისაკენ მიიმართება, რისაც დაახლოვებით მაჩვენებელია მისი უდიდებულესობის, უმაღლეს მთავარსარდლის მიმართვა პოლონეთის და ავსტრიის ერთა მიმართ, თუ შეეცდევით ლოგიკურ დასკვნათა გამოყვანას.

ს. დ —ნი.

ქართულ გიმნაზიაში

ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი ჟურნალი არა ერთხელ შეხებია ქართულ გიმნაზიის საქმიანობას. არა ერთხელ უთითებდა ჩვენს საზოგადოებას გიმნაზიის უკეთესმართ ცხოვრებაზედ და მოუწოდებდა მას გაბედულად ხელი მოეკიდა საქმის გამოსწორებასა და გიმნაზიისთვის დარბაისელ ხელმძღვანელთა მიჩენაზედ. ბევრი თქმულა მაშინ და დაწერილა,, ბევრი საყვედურებიც მიგვიღია ჩვენ ზოგიერთ „მოღვაწისაგან", რომ დასურათებული მდგომარეობა გიმნაზიისა თავის უარყოფით მხარეებით გადაჭარბებულია, სასტიკია, უსამართლოა და სხვა ამგვარი პასუხები. მაგრამ ის, რაც დღეს გამოაშკარავდა არამც თუ ჩვენს მოსაყვედურეებს ჩააჩუმებს კიდეც, არამედ ყოველ ჩვენს მოლოდინსაც აღემატა.

გიმნაზიაში აღმოაჩინეს მცარცველობა. წლითიწლობით გიმნაზიის საქმის მწარმოებელი დიმიტრი ეპიტაშვილი და ხაზინადარი არჩილ ავალიშვილი სცარცავდნენ ღარიბ სალაროს გიმნაზიისას და მარტო ერთი წლის განმავლობაში გაფლანგეს 10,000 მანეთი ფული! საზარელია ეს სურათი. საზარელია ის დროც, როდესაც პატიოსანი მოღვაწენი ლოკოკინისებურ სილაჩრით იმალებიან და თავის დროზედ არა ლაგმავენ ამისთანა გათახსირებულ ქართველებს (ამბობენ ბევრს ჩვენს ცნობილ მოღვაწეთათვის ეს ახალი ამბავი არა ყოფილა. მაგრამ რასაკვირველია ერჩიათ თავისი მშვიდობიანობა არ დაერღვიათ). რაღა კომენტარები უნდა ამ საშინელ ფაქტსა? არავითარი... აუცილებლად საჭიროა ხსენებულ ვაჟბატონებისაგან ამ ფულის ჩამორთმევა და მათი სასამართლოში მიცემა. ამისთანა სიბოროტის დატოვება დაუსჯელად დიდი დანაშაულობა იქნება ქართველ საზოგადოებისათვის. ისინი ზნეობრივად მოკლულნი და ქართულ საზოგადოებიდან განდევნილნი უნდა იყვნენ. რასაკვირველია, აუცილებელია ისიც, რომ დღევანდელ გიმნაზიის საქმიანობა როგორც მეურნეობის მხრივ ისე პედაგოგიურ-სამოსწავლო მხრივ სავსებით გადასინჯული და მთლად გამოსწორებული იყოს. ამ მხრივ ჩვენი ჟურნალი შეძლებისდაგვარად ეცდება კვლავინდებურად სამსახური გაუწიოს ამ დიდ ეროვნულ დაწესებულებას, სიტყვით და საქმით მიეშველოს იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც გულში ამ საქმისადმი პატიოსან ქართველი პატრიოტის სიყვარული უღვივის.

ლივანელი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გ:ბაშვილი.

განცხადებანი

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ **„კლდე“-ზედ.**

ფასი: 1 წლით . . . . . 5 მან.
6 თვით . . . . . 3 მან.
3 თვით . . . . . 1 მან. 50 კ.

ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.

ქ. გორში, კვირას ოქტომბრის 5-ს გამოვა

ჰირველი ნომერი ეოველდღიურის გაზეთის

„ახალი ქართლი“-ისა

ფასი წლიურად 6 მან., თვიურად 75 კაპ., ცალკე ნომერი 5 კაპ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.